საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 268 2016 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/03/2016, 280120000.10.003.019166) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის №1.6.4 დანართის (კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი):

1. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 5. კომპონენტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელი**

1. ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა

და მომსახურების მიმწოდებელია პირი, რომელთანაც სააგენტოს დადებული აქვს ხელშეკრულება, კომპონენტით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2. ამ დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია ა(ა)იპ - სმენადაქვეითებულ ბავშვთა აბილიტაციის/რეაბილიტაციის და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „აი ია“ (ყოფილი ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი „პირველი თაობა“) (ს/კ: 404494935), სამინისტროსთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.“.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, გაატაროს დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**